ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3137807

ნომერი: AR1480951

თარიღი : 22.02.2017

გაცემის თარიღი : 16.03.2017

გაცნობის თარიღი : 16.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70 , (იგივე გამსახურდიას გამზ. N5) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70 , (იგივე გამსახურდიას გამზ. N5) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70 , (იგივე გამსახურდიას გამზ. N5) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბარნაბიშვილი პ/ნ 01009010768
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 2 ბ. 35

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 1999 წლის 3 ნოემბრის #632 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 22 თებერვლის № AR1480951 განაცხადით მომართეს ირაკლი ბარნაბიშვილმა, ნუკრი ლიპარტაშვილმა, ვასილ ბოლაშვილმა და ბეჟანი ანუაშვილმა და მოითხოვეს ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 1999 წლის 3 ნოემბრის #632 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 1999 წლის 3 ნოემბრის #632 ბრძანებით დამტკიცდა პროექტი #717, რომლითაც შეთანხმდა ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გამსახურდიას გამზირზე #5-ში, საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნებართვით ინსტიტუტის ლაბორატორიულ კორპუსზე გამსახურდიას გამზირის მხრიდან ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მმართველი კომპანიისათვის საოფისე ფართის დაშენების პროექტი. განმცხადებლების განმარტებით, ტექნიკური ხარვეზია გაპარული ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 1999 წლის 3 ნოემბრის#632 ბრძანებაში, რომელშიც გამორჩენილია საერთო ფართი 3594,0 კვ.მ , ხოლო სასარგებლო ფართის 3292,8 კვ.მ-ის ნაცვლად შეცდომით არის დაფიქსირებული 2211.6 კვ.მ. მათივე განმარტებით, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები უნდა იყოს: საერთო სამშენებლო მოცულობა - 11639,1 მ^3, საერთო ფართობი - 3594,0 კვ.მ, სასარგებლო ფართი 3292,8 კვ.მ. მათ შორის:

ბლოკი-ა - სართულიანობა 2, საერთო ფართობი - 1018,8 კვ.მ, სასარგებლო ფართი 905,9 კვ.მ, სამშენებლო მოცულობა - 2659,0 მ^3.

ბლოკი-ბ - სართულიანობა 3, საერთო ფართობი - 1526,2 კვ.მ, სასარგებლო ფართი 1407,4 კვ.მ, სამშენებლო მოცულობა - 5963,9 მ^3.

ბლოკი-გ - სართულიანობა 2, საერთო ფართობი - 1049,0 კვ.მ, სასარგებლო ფართი 979,5 კვ.მ, სამშენებლო მოცულობა - 2689,4 მ^3.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული საერთო ფართობის მაჩვენებელი შესაბამისობაშია ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 1999 წლის 3 ნოემბრის#632 ბრძანებასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 1999 წლის 3 ნოემბრის#632 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო სამშენებლო მოცულობა - 11639,1 მ^3, საერთო ფართობი - 3594,0 კვ.მ, სასარგებლო ფართი 3292,8 კვ.მ. მათ შორის:

ბლოკი-ა - სართულიანობა 2, საერთო ფართობი - 1018,8 კვ.მ, სასარგებლო ფართი 905,9 კვ.მ, სამშენებლო მოცულობა - 2659,0 მ^3.

ბლოკი-ბ - სართულიანობა 3, საერთო ფართობი - 1526,2 კვ.მ, სასარგებლო ფართი 1407,4 კვ.მ, სამშენებლო მოცულობა - 5963,9 მ^3.

ბლოკი-გ - სართულიანობა 2, საერთო ფართობი - 1049,0 კვ.მ, სასარგებლო ფართი 979,5 კვ.მ, სამშენებლო მოცულობა - 2689,4 მ^3. სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 1999 წლის 3 ნოემბრის #632 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.